საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2325-03
20/08/2020

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 აგვისტოს N2268-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2020 წლის 17 აგვისტოს N1283-02 ბრძანების, ბიზნესის სკოლის დეკანის, დიმიტრი ჯაფარიძის 2020 წლის 19 ავისტოს N7392-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 აგვისტოს N2268-03 ბრძანების მეოთხე პუნქტში, კერძოდ, იმ საბაკალავრო პროგრამების ჩამონათვალს, რომელზე მობილობის მსურველს პირებსაც ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ ამავე პუნქტში მითითებული საგნები დაემატოს საბაკალავრო პროგრამა კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) და ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოცემულის შესაბამისად:

„4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროგრამებზე და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა) და კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამებზე გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს, გარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხული პირებისა, ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთერთი საგანი:

ა) მათემატიკა;

ბ) გეოგრაფია;

გ) ფიზიკა;

დ) ქიმია;

ე) ბიოლოგია.“

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი